დაიჯესტი

14 – 20 აგვისტო, 2021

TRC
ტერორიზმის კვლევითი ცენტრი
Terrorism Research Center

ამერიკის შეერთებული შტატები

ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ 49 წლის ფლოიდ რეი როზბერი საგამოძიებო უწყებებს ჩაბარდა. აღნიშნული პირი კაპიტოლიუმის შენობასთან პრეზიდენტ ბაიდენთან შეხვედრას ითხოვდა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი - ასაფეთქებელი მოწყობილობით დატვირთული სატრანსპორტო საშუალების აფეთქებით იმუქრებოდა.

სასაზღვრო-საპატრულო სამსახურის განცხადებით, ბოლო თვეების განმავლობაში ცნობილი ან ეჭვმიტანილი ტერორისტების უპრეცედენტო რაოდენობამ გადაკვეთა ამერიკის შეერთებული შტატების სამხრეთ საზღვარი.

ამერიკის შიდა უსაფრთხოების დეპარტამენტის განცხადებით, 11 სექტემბრის თავდასხმის მოახლოებულმა 20 წლისთავმა და რელიგიურმა დღესასწაულებმა შეიძლება ტერორირსტული თავდასხმების საფრთხე გაზარდოს. მათი თქმით, შეერთებული შტატები "გაზრდილი საფრთხის გარემოში" იმყოფება.

გლენდეილის პოლიციამ ორშაბათს 30 წლის ტონი ტრანი დააკავა. მას ბრალად ედება ტერორისტულ თავდასხმაში მონაწილეობა და ტერორისტული თავდასხმის დაგეგმვა.

გაერთიანებული სამეფო

21 წლის ულტრამემარჯვენე ექსტრემისტი, ბენ ჯონსი დამნაშავედ სცნეს ასაფეთქებელი მოწყობილობის დამზადების ინსტრუქციის ფლობაში.

გერმანია

სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა ბეატე ცშეპეს სარჩელი პატიმრობის ვადებთან დაკავშირებით. აღნიშნული პირი ტერორისტულ საქმიანობაში ჩართულობაში, ტერორისტულ თავდასხმაში მონაწილეობასა და ტერორისტული ორგანიზაციის წევრობაშია დამნაშავედ ცნობილი. თავისუფლების აღკვეთის

სახით, მას გერმანიის უზენაესმა სასამართლომ უვადო პატიმრობა მიუსაჯა.

თურქეთი

თურქეთის უსაფრთხოების ძალებმა ანკარაში დაეშის 11 წევრი დააკავეს. საგამოძიებო უწყების განცხადებით, ამ დროისათვის ძებნა გამოცხადებულია 4 პირზე.

ერაყი

ერაყის პრემიერ-მინისტრის, მუსტაფა ალ-ქადიმმის განცხადებით, იგი მიზნად ისახავს ტერორისტების მიერ ელექტროენერგიის ქსელზე თავდასხმის განხორციელების გამოძიებას და მომხდარზე პასუხისმგებელი პირების დასჯას.

ერაყის ტერიტორიაზე დაეშის გააქტიურების პარალელურად, ერაყის სამხედრო ძალებმა ადგილობრივ შეიარაღებულ დაჯგუფებებთან ერთად სალაჰუდდინის პროვინციაში დაეშის წინააღმდეგ სამხედრო სპეცოპერაცია ჩაატარეს.

სირია

ტერორსტულმა დაჯგუფება, „ჰაიათ თაჰრირ ალ-შამმა“, რომელიც სირიის ჩრდილოეთით მდებარე იდლიბის პროვინციის დიდ ნაწილს აკონტროლებს, თალიბანს ავღანეთის „დაპყრობა“ მიულოცა. მათი განცხადებით, თალიბანის წარმატება მისაბაძი მაგალითი უნდა გახდეს.

ნიგერია

ბოკო-ჰარამის ათასობით წევრი ნიგერიისა და კამერუნის არმიებს ბარდება. სამხედროები მოვლენების ამგვარ განვითარებას თავდასხმითი სპეცოპერაციების ინტენსიფიკაციას უკავშირებენ.

ავღანეთში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით ნიგერიის პრეზიდენტ, მუჰამედ ბუჰარის განცხადებით, "ომი ტერორიზმის წინააღმდეგ" არ დასრულებულა და პროცესებმა აფრიკაში გადაინაცვლა.

ავღანეთი

ვაშინგტონში ბაზირებული კვლევითი ცენტრის, Counter Extremism Project- ის განცხადების თანახმად, ავღანეთში მიმდინარე მოვლენები "დასავლეთისთვის უკიდურესი საფრთხის მომენტს" წარმოადგენს.

ბაიდენის ადმინისტრაციის განცხადებით, თალიბანს არ ექნება წვდომა ავღანეთის საზღვარგარეთ არსებულ ფინანსურ რეზერვებზე.

თალიბანმა ქაბულის უსაფრთხოება ალ კაიდასთან აფილირებულ „ჰაკანის ქსელს" ჩააბარა.

ექსპერტები თალიბანის მიერ სოციალური ქსელის და ზოგადად, ინტერნეტის ეფექტურ გამოყენებაზე და ამის თანმდევ საფრთხეებზე მიუთითებენ.

თალიბანის მიერ ქაბულზე კონტროლის მოპოვებიდან რამდენიმე დღეში, ქაბულის ციხეებიდან დაეშის და ალ-კაიდას ათასობით ყოფილი მებრძოლი გაათავისუფლეს.

პაკისტანი

პაკისტანში ასაფეთქებელი მოწყობილობით დატვირთული ავტომობილის აფეთქებას 3 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. დაშავებულია 50-მდე შიიტი მუსლიმი. დაზარალებული შიიტები ტერორისტების გამოვლენას და დასჯას ითხოვენ.